ირინა შტენბერგის სცენოგრაფიის შესახებ

ირმა დოლიძე

საკვანძო სიტყვები: *ირინა შტენბერგი, ქალი მხატვრები, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მუზეუმი, მე-20 საუკუნის ქართული სცენოგრაფია*

„დავიბადე 1905 წელს, ქ. თბილისში, რუსი ინჟინერ-არქიტექტორის, ვალერიან შტენბერგის ოჯახში. დედა - სკოლამდელი აღზრდის პედაგოგი. დავამთავრე თბილისში გიმნაზია და 1920 წლიდან 1926 წლამდე ვსწავლობდი თბილისის სამხატვრო აკადემიაში, 1928 -1930 წლებში - მოსკოვში.
1930 წელს მოსკოვში, სამხატვრო აკადემიაში იყო ჩემი პერსონალური გამოფენა.[1] მოსკოვში ავად გავხდი და დავბრუნდი თბილისში, გავაგრძელე მუშაობა წიგნის გრაფიკაში გამომცემლობებსა და გაზეთებში 1920 წლიდან 1936 წლამდე. ვმონაწილეობდი საქართველოს მხატვართა კავშირის ყველა გამოფენაში. რამდენიმე ჩემი ნამუშევარი შეისყიდა იმელმა.[2] 1936 წელს დავიწყე მუშაობა ქ. თბილისის თეატრებში, სადაც დღემდე ვმუშაობ...

1943 წლის 12 სექტემბერი. ი. ვ. შტენბერგი“.

ირინა შტენბერგის დაბადების თარიღად 1903, ზოგჯერ 1905 წელია მითითებული. 1943 წელს დაწერილ ამ მოკლე ავტობიოგრაფიაში მხატვრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი და მთავარი მოვლენებია ასახული, მათ შორის დაბადების თარიღიც.

ფერმწერი, გრაფიკოსი, ილუსტრატორი, თეატრის მხატვარი ირინა შტენბერგი (1905-1985) შემოქმედებით ასპარეზზე 1920-იანი წლების მიწურულს გამოდის, 1936 წლიდან კი მისი შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება თეატრს. ის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული მხატვარია, ასეულობით სპექტაკლი აქვს გაფორმებული საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და თეატრში, ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

XX საუკუნის ქართული თეატრის ისტორიასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული ქართული მხატვრობის ისტორია. ჯერ კიდევ 20-30-იანი წლებიდან მოყოლებული, თეატრთან აქტიურად თანამშრომლობენ მხატვრები, რომელთა ასპარეზიც მანამდე მხოლოდ დაზგური ფერწერით და გრაფიკით იფარგლებოდა (დ. კაკაბაძე, ლ. გულიაშვილი, ე. ახვლედიანი და სხვ.). ასე იყო შტენბერგის შემთხვევაშიც. მან შემოქმედებითი მოღვაწეობა დაზგურ მხატვრობაში დაიწყო.

თეატრის არჩევანი შტენბერგისთვის შემთხვევითი არ ყოფილა. აქ მეტი თავისუფლება იყო. ზოგადად, ამ პერიოდში თეატრისადმი ინტერესი სულ უფრო მზარდია და მხატვრების დიდი ნაწილი აქტიურად ერთვება სათეატრო ცხოვრებაში. ამას თავისი მიზეზებიც ჰქონდა. „საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატი მხატვრებსაც მისწვდა. 1933 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ შტენბერგი გააკრიტიკეს კოსმოპოლიტიზმისა და ბურჟუაზიული ნიშნების გამო და მოუწოდეს სოციალისტური პროპაგანდისთვის მიესადაგებინა თავისი შემოქმედება. შტენბერგმა გამოსავალი მოძებნა და შექმნა სერია „საქართველოს ქალები“. ესეც კრიტიკის ობიექტი გახდა. 1936 წელს საქართველოსა და კავკასიის ბოლშევიზმისადმი მიძღვნილ გამოფენაზე სურათისთვის „სტალინი და კეცხოველი“ მაღალი შეფასება დაიმსახურა. გამოფენის შემდეგ მხატვარმა გაზ. „კომუნისტში“ აღიარებაც გამოაქვეყნა,

1 გამოფენა შედგა სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში (ГАХН- Государственная академия художественных наук).
2 იმელი (ИМЭЛ) მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი.

რომ სტალინურ თემატიკაზე მუშაობის დროს გაიზარდა როგორც შემოქმედი და მადლობას უხდიდა ლავრენტი ბერიას. „იმ მხატვრების მსგავსად, რომელთა სტილიც სოციალისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა, ირინა შტენბერგმა ხსნა თეატრში იპოვა“.[3]

XX საუკუნის პირველ ნახევარში თეატრში მომუშავე მხატვრებს შორის სულ რამდენიმე ქალი ფიგურირებს - თამარ აბაკელია, ელენე ახვლედიანი, ალექსანდრა თევზაძე, ირინა შტენბერგი. მათი მოღვაწეობა მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ქართული სახვითი ხელოვნებისა და თეატრის ისტორიაში. ამ შემოქმედთა ინტენსიურ მოღვაწეობაზე გაფორმებული სპექტაკლების რაოდენობაც თვალსაჩინოდ მეტყველებს: ელენე ახვლედიანს 70-ზე, ირინა შტენბერგს 300-ზე მეტი სპექტაკლი აქვს გაფორმებული.

ირინა შტენბერგის შემოქმედებისადმი ინტერესი ბოლო ათწლეულებს უკავშირდება. გამოიცა მონოგრაფია, ალბომი. მისი ნამუშევრები წარმოდგენილია ქართული სცენოგრაფიისადმი მიძღვნილ არაერთ კატალოგში. ამ ნაშრომებში დიდი ყურადღება ექცევა მხატვრის მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტს, თუმცა აქცენტი თეატრის მხატვრობაზე კეთდება. ეს ბუნებრივია, ვინაიდან შტენბერგის შემოქმედება უმთავრესად სცენოგრაფიას უკავშირდება. ათეულობით თეატრში გაფორმებულ ასეულობით სპექტაკლს შორის საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ჩვენი კვლევის საგანი - ირინა შტენბერგის მიერ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული სპექტაკლები. ზემოაღნიშნულ გამოცემებში მათგან მხოლოდ რამდენიმე ფიგურირებს (რიგ შემთხვევაში არასწორი ფორმულირებითაც). უცნობია და არ გამოქვეყნებულა თავად ამ სპექტაკლებისათვის შექმნილი ესკიზები.

საქართველოს ხელოვნების სასახლეში ირინა შტენბერგის შესახებ დაცულ დოკუმენტებს შორისაა 1953 წლის 29 დეკემბრით დათარიღებული გრიბოედოვის თეატრის დირექტორის, დოდო ანთაძის გაცემული ირ. შტენბერგის დახასიათება. ორგვერდიან დოკუმენტში საუბარია მხატვრის ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობაზე, მისი ნამუშევრების რეალისტურ და გამომსახველობით ხასიათზე და ხაზგასმულია, რომ შტენბერგს ხშირად იწვევენ სხვადასხვა თეატრში, ასევე, თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში.

სწორედ 1950-იანი წლების დასაწყისიდან უკავშირდება შტენბერგის შემოქმედება თეატრალურ ინსტიტუტს. ამ დროისათვის ის უკვე შთამბეჭდავი გამოცდილების მქონე და საკმაოდ ცნობილი სცენოგრაფია. ათეულობით სპექტაკლი აქვს გაფორმებული საქართველოს სხვადასხვა თეატრში, მის ფარგლებს გარეთ. ის მუშაობს როგორც დრამატულ სპექტაკლებზე, ისე ოპერეტებზე, თანამშრომლობს სრულიად განსხვავებული ხელწერის რეჟისორებთან. ცვლილებას განიცდის თავად მხატვრის ხელწერაც. 30-იანი წლების ესკიზებში ხაზგასმული პლასტიკა (ხშირად უტრირებული) გმირის ხასიათის გამოვლენას ემსახურება, მასშტაბური არქიტექტურული სივრცეები რომანტიკული ელფერითა და ჟღერადი კოლორიტითაა გაჯერებული, დინამიზმით, თეატრალურობისა და ზეიმურობის განცდითაა აღსავსე. ყველგან მნიშვნელოვან როლს ასრულებს არქიტექტურა, მსახიობებისთვის შექმნილი გარემო. 40-იანი წლების ესკიზები აღსავსეა ექსპრესიით, მონასმის სითამამით, გმირთა მკაფიოდ გამოხატული ხასიათებით. 1950-იანი წლების დასაწყისიდან მეტი დეტალიზაცია შემოდის დეკორაციათა ესკიზებში, რაც უფრო თხრობითობისკენაა ორიენტირებული. კოსტიუმების ესკიზები კი კვლავინდებურად ინარჩუნებს ხაზის პლასტიკურობას, თავისუფლებას, ემოციურობას.

შტენბერგის შემოქმედებითი მოღვაწეობა ამ პერიოდში ძალიან მრავალფეროვანია. „1950-1955 წლებში ა. გრიბოედოვის რუსული დრამატული თეატრის გარდა, შტენბერგი სპექტაკლებს ქუთაისში, ბათუმში, გორში, ლენინაკანში, ერევანსა და ბაქოში აფორმებდა“.[4] ამ პერიოდს ემთხვევა მხატვრის თეატრალურ ინსტიტუტში მოსვლაც. ირ. შტენბერგთან ერთად აქ სპექტაკლებს აფორმებენ ფ. ლაპიაშვილი, ბ. ლოკტინი, გ. ცერაძე. ირინა შტენბერგამდე თეატრალურ ინსტიტუტში უკვე მუშაობდა ა. თევზაძე. მისი მოღვაწეობა აქ 1940-1952 წლებს მოიცავს და აღდგენილი ინსტიტუტის საწყისებს უკავშირდება. თევზაძის გაფორმებული სპექტაკლების უდიდესი ნაწილი 1940-

3 კალანდია, შტენბერგი, 2020, გვ. 4-5

4 გედევანიშვილი, შტენბერგი, 2007, გვ. 190.

იან წლებზე მოდის, მაგრამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ი. შტენბერგს და ა. თევზაძეს ერთდროულად მოუწიათ თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობა (1951-1952).

უნივერსიტეტის მუზეუმში დაცულია ინსტიტუტში დადგმული სპექტაკლების რეპერტუარი, რომლის მიხედვით, ირ. შტენბერგს თეატრალურ ინსტიტუტში 15 სპექტაკლი აქვს გაფორმებული 1951 - 1968 წლებში. ესენია: „ლუტონინის ოჯახი“ და „პლატონ კრეჩეტი“ - 1951 წელს; „მაკარ დუბრავა“ -1953-1954 სასწავლო წელს (რეჟ. აკ. ხორავა). 1955-1957 წლებში მხატვარი სარეჟისორო ფაკულტეტის სპექტაკლებზე მუშაობს. ამ პერიოდს ეკუთვნის: „მარჯვე ადგილზე“, „დაკარგული ბარათი“, „კუდიანი“, „მუნჯი ცოლი“, „ოინბაზი“, „ხვალ“, „სიზიფი და სიკვდილი“. 1961 წელს შტენბერგს აქვს გაფორმებული: „ერთი ღამის შეცდომები“ და „იმედის დაღუპვა“; 1968 წელს - „ქორწინების დღე“ და „სილვა“.

ირინა შტენბერგის მიერ გაფორმებული სპექტაკლებიდან მუზეუმში დაცულია ტ. და ი. პირიევების „ლუტონინის ოჯახი“ (პრ. - 12,14/V. 1951) და ალ. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“ (პრ. - 28,30/V. 1952) შესრულებული ესკიზები. ორივე სპექტაკლის დამდგმელია ა. ხორავა. ესკიზებს ახლავს ირ. შტენბერგისა და აკ. ხორავას ავტოგრაფები. სპექტაკლისთვის „ლუტონინის ოჯახი“ მხატვარმა, დეკორაციის ესკიზებთან ერთად, შექმნა მოქმედ გმირთა ტიპაჟებისა და კოსტიუმების ამსახველი 14 ჩანახატი. ოთხი მოქმედების ამსახველი დეკორაციის სამი ესკიზი (I და IV, II, III სურათებისთვის). ეს არის თხრობითი ხასიათის დეტალიზებულ ელემენტებზე აქცენტით შესრულებული ესკიზები. მათგან განსხვავებით ტიპაჟების ჩანახატები ფანქარშია გაკეთებული. გმირის საერთო ხასიათის მთავარი პლასტის წარმოსაჩენად მხატვარი რიგ შემთხვევაში ერთ სასურათე სიბრტყეზე ვარიაციებად ცდილობს მათ გამოსახვას. ერთი და იმავე პერსონაჟის ორი, ზოგჯერ სამი ვერსიით. თითქოს მხატვარი ზუსტი ხასიათის ძიებაშია. ჩანახატები კი ამ პროცესს გამოხატავს. რეალურად შტენბერგი პორტრეტებს ქმნის, სახასიათო პორტრეტებს. თითოეულ ჩანახატს, მისი ავტოგრაფისა და თარიღის გარდა, ახლავს სპექტაკლის დასახელება და მოქმედ გმირთა სახელები. მინაწერები ესკიზებზე, როგორც ეს მხატვრისთვისაა დამახასიათებელი, მხოლოდ რუსულ ენაზეა შესრულებული (გამონაკლისია სპექტაკლის „ლუტონინის ოჯახი“ დეკორაციათა ესკიზები). მსგავს მიდგომას ვხედავთ ჯერ კიდევ 1942 წელს სპექტაკლისთვის „სახლი გორაკზე“ შესრულებულ ტიპაჟების, 1943 წელს „ქორწინება გენერალთან“ კოსტიუმების ესკიზებში. ორივე შემთხვევაში მხატვარი მხოლოდ ფანქარს იყენებს.

სპექტაკლისთვის „პლატონ კრეჩეტი“ შექმნილი დეკორაციის სამი ესკიზია მუზეუმში, კრეჩეტთან, ბერესტთან და საავადმყოფოში - სამი სამოქმედო სივრცე თავშეკავებული ფერადოვანი გამითაა გადმოცემული. მოწესრიგებული, მშვიდი ატმოსფერო სპექტაკლის საერთო ხასიათს ამჟღავნებს. სამივე ესკიზში ორგანზომილებიანი სივრცე ირიბად შეჭრილი კედლების ტეხილი სიბრტყეებით ირღვევა, მათ მიღმა „განვითარებული“ სივრცისა და წინ, სასცენო მოედანზე ზომიერი აქცენტით.

ორივე სპექტაკლის ესკიზები ერთ სტილისტურ მიდგომას ავლენს. აქ აღარ იკითხება შტენბერგის საათეატრო მხატვრობისთვის ესოდენ დამახასიათებელი ექსპრესია, ფერწერულობა, ზეიმურობა. ეს ყოფითად მოაზრებულ-გადმოცემული სასცენო გარემოა, კონკრეტული, თხრობითი დეტალებით.

სპექტაკლებისთვის „ლუტონინის ოჯახი“ და „პაულ კრეჩეტი“ შექმნილი ესკიზები ერთ რიგში დგას 1950-იანი წლების დასაწყისში გაფორმებულ სპექტაკლებთან „რევიზორი“ (1952), „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“ (1953), სადაც თვალშისაცემია მსგავსი დეტალიზაცია, კოსტიუმების ესკიზებში კი ნარჩუნდება ხაზისა და ფორმის ხაზგასმული პლასტიკა.

რუსთაველის თეატრში შტენბერგს სულ ორი სპექტაკლი აქვს გაფორმებული. ერთ-ერთია სწორედ „პლატონ კრეჩეტი“ (1951), რეჟისორი აქაც აკ. ხორავა იყო.[5] ამდენად, რუსთაველის თეატრსა და თეატრალურ ინსტიტუტში ერთდროულად მიმდინარეობდა მუშაობა ერთსა და იმავე სპექტაკლზე, ერთსა და იმავე რეჟისორთან. რუსთაველის თეატრის სპექტაკლის ესკიზები ჩვენთვის უცნობია, სავარაუდოა, რომ ორი-

5 რუსთაველის თეატრში შტენბერგის მიერ გაფორმებული მეორე სპექტაკლია: „ვასა ჟელეზნოვა“, რეჟ. დ. ალექსიძე (1955).

ვე სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტა მსგავსი იქნებოდა.

მომდევნო, 1953-1954 სასწავლო წელს მხატვარმა გააფორმა „მაკარ დუბრავა“ (პრ. - 31/V, 1-2/VI. 1954. რეჟ. აკ. ხორავა). ეს იყო სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის II სადიპლომო სპექტაკლი. მუზეუმში დაცულია ხელნაწერი „პოსტერი“ (კედლის გაზეთი) სპექტაკლის შესახებ ფოტოებით. როგორც ჩანს, ეს თეატრალური ინსტიტუტის ერთგვარი ტრადიცია იყო: საკურსო თუ სადიპლომო სპექტაკლებზე ჯგუფისა და მათი ხელმძღვანელის მიერ იწერებოდა სტატიები მოგონებების, მსჯელობის. მოსაზრებებისა და შეფასებების სახით წარმოდგენის შესახებ. სპექტაკლისადმი „მაკარ დუბრავა“ მიძღვნილი ეს დოკუმენტი შეიცავს ირ. უჩანეიშვილის (მაკარი), ო. მეღვინეთუხუცესის (კონდრატ ტოპოლია), გ. მდინარაძის (ორლოვი), ზ. ზალდასტანიშვილის (ოლია) და სხვათა წერილებს. ამავე, 1952 წელს, სპექტაკლი „მაკარ დუბრავა“ შტენბერგმა გრიბოედოვის თეატრშიც გააფორმა.

1955-1957 წლებში შტენბერგი სარეჟისორო ფაკულტეტის სპექტაკლებზე მუშაობს. ამ პერიოდს ეკუთვნის: ა. ოსტროვსკის „მარჯვე ადგილზე“ (პრ. - 12,13 / XII. 1955. დამდგმელი კ. პატარიძე. სარეჟისორო ფაკულტეტის V კურსის საკურსო სპექტაკლი), კარაჯალეს „დაკარგული ბარათი“ (პრ. - 27/IV, 5/V. 1956. დამდგმელი - ელ. იოსელიანი. სარეჟისორო ფაკულტეტის IV კურსის საკურსო სპექტაკლი. სპექტაკლების აღრიცხვის ჟურნალში მითითებულია, რომ „კათედრამ განიხილა და საჯაროდ არ წასულა“), ა. ოსტროვსკის „ტყე“ (პრ. - 1,2,3,4/ VI. 1957. დამდგმელი ა. გამსახურდია. სამსახიობო ფაკულტეტის საკურსო სპექტაკლი).

1957 წელს ირინა შტენბერგმა სარეჟისორო ფაკულტეტის V კურსის რამდენიმე საკურსო სპექტაკლი გააფორმა. ამ წარმოდგენების დამდგმელები თავად სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ. ა. ჩეხოვის „კუდიანი“ (პრ. - 5.6.7/I. 1957. დამდგმელი - ნ. გაჩავა), ა. ცაგარელის „ოინბაზი“ (პრ. -27/I. 1957. დამდგმელი - ვ. რცხილაძე), ა. ფრანსის „მუნჯი ცოლი“ (პრ.- 5,6,7/I. 1957 . დამდგმელი - ნ. მჭედლიძე, გ. ჟორდანია. სარეჟისორო ფაკულტეტის V კურსის საკურსო სპექტაკლი), „ხვალ“ (პრ. - 2,3 /III. 1957. დამდგმელი - თ. ნინუა), „სიზიფი და სიკვდილი“ (პრ. - 2,3 /III. 1957. დამდგმელი - შ. გაწერელია). სწორედ 1957 წელს მოსკოვში ირ. შტენბერგის მეორე პერსონალური გამოფენა გაიმართა. მას დიდი წარმატება ხვდა წილად.

„1950-იანი წლების II ნახევარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პროდუქტიული პერიოდია შტენბერგის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში. ირინა დაზგურ შემოქმედებას უბრუნდება. მუშაობს ექსპერიმენტულ კუბისტურ კომპოზიციებზე. ამავე პერიოდში ქმნის ცნობილ პიროვნებათა და ხელოვანთა პორტრეტების სერიას.

1960-იან წლებში მხატვარი მუშაობას თეატრში აგრძელებს. შტენბერგის შემოქმედების ამ ეტაპზე 60-იანი წლების სცენოგრაფიის ძირითადი ტენდენციები იჩენს თავს. ის აბსოლუტურად ცვლის მიდგომას, გამომსახველობით საშუალებებსა და საერთოდ ხელწერას“.[6]

1963 წელს შტენბერგმა თეატრალურ ინსტიტუტში გააფორმა: ო. გოლდსმიტის „ერთი ღამის შეცდომები“ (პრ. - 22,23,24 / VI. 1963. დამდგმელი - აკ. ხორავა. სპექტაკლის რეჟისორი კ. სურამავა) და ი. ჰეიერმანსის „იმედის დაღუპვა“ (პრ. - 16,18/ IV. 1963. დამდგმელი - დ. ალექსიძე); 1968 წელს - ვ. როზოვის „ქორწინების დღე“ (პრ. - 23/I. 1968. დამდგმელი - ა. თავზარაშვილი) და ი. კალმანის „სილვა“[7] (პრ. - 18/V.1968. დამდგმელი - ე. გედევანიშვილი). ეს ორი სპექტაკლი სამსახიობო ფაკულტეტის აფხაზურ და ავართა ჯგუფების საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები იყო.

ირინა შტენბერგის შემოქმედების მკვლევარი ნ. გედევანიშვილი სადისერტაციო ნაშრომში „ირინა შტენბერგის შემოქმედება“, სხვადასხვა თეატრში გაფორმებულ სპექტაკლებთან ერთად, მხატვრის მიერ თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული სპექტაკლების არასრულ ჩამონათვალს აკეთებს, მხოლოდ თეატრალური ინსტიტუტის ნაცვლად მითითებულია „თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური სტუდია“. მკვლევარი შტენბერგის მიერ გაფორმებული 15 სპექტაკლიდან უთითებს რვას. ესენია: „პლატონ კრეჩეტი“ (1952), „მაკარ დუბრავა“ (1954), „მარჯვე ადგილზე“ (1955), „დაკარგული წერილი“ (1956), „შეცდომების ღამე“ (1963), „იმედის გაცრუება“

6 გედევანიშვილი, შტენბერგი, 2007, გვ.190

7 1942 წელს ოპერეტისთვის „სილვა“ ირ. შტენბერგს შესრულებული აქვს დეკორაციის (4) და კოსტიუმების (4) ესკიზები (დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლეში).

(1963), „სილვა“ (1968), „ქორწინების დღეს“ (1968).

ირინა შტენბერგისადმი მიძღვნილ ალბომში მხატვრის მიერ თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული სპექტაკლებიდან მოყვანილია მხოლოდ ოთხი წარმოდგენა: „ლუტონინის ოჯახი“ (1951), „პლატონ კრეჩეტი“ (1952), „მაკარ დუბრავა“ (1954), „ქორწილის დღეს“ (1968).[8]

უცნობია შტენბერგის მიერ 1968 წლის შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული სპექტაკლები. რეალურად, ეს მხატვრის შემოქმედების ბოლო პერიოდია. 1968 წლის შემდეგ მან მხოლოდ რამდენიმე სპექტაკლი გააფორმა 1971 და 1972 წლებში, რითაც დასრულდა ირ. შტენბერგის 36-წლიანი უაღრესად საინტერესო, რთული და მრავალფეროვანი მოღვაწეობა თეატრში.

ირინა შტენბერგის ნამუშევრები დაცულია საქართველოს მუზეუმებში, ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის კერძო კოლექციებში. ამიერიდან მათ რიცხვს უერთდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბელაშვილი თ., XX საუკუნის II ნახევრის ქართული სცენოგრაფიის მხატვრული მახასიათებლები რუსთაველის თეატრის დადგმების მიხედვით, რუსთაველის თეატრის სცენოგრაფია 1950-2000, თბილისი, 2019, გვ.7-36.
- გედევანიშვილი ნ., ირინა შტენბერგი, თბილისი. 2007.
- ელიზბარაშვილი ნ., საქართველოს რუსი მხატვრები XX საუკუნე, თბილისი, 2007.
- თუმანიშვილი ე., შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მუზეუმში დაცული კოლექციის ზოგადი დახასიათებისათვის (XX ს-ის 20-40-იანი წლების ესკიზები), „ARS GEORGICA“, ელექტრონული ჟურნალი, 2015. http://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/177--xx-20-40-.html (20/03/202)
- კალანდია გ., ირინა შტენბერგი, თეატრისა და კინოს მხატვრები, ტ.VIII, თბილისი, 2020.
- ციციშვილი მ. თეატრის მხატვრობა 1920-1950, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია, თბილისი, 2008.
- ციციშვილი მ., ვაჩეიშვილი ნ., სოხაძე მ., თეატრის მხატვრობა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია, თბილისი, 2018.
- ციციშვილი მ., ვაჩეიშვილი ნ., სოხაძე მ., თეატრის მხატვრობა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია, თბილისი, 2006.

8 კალანდია, შტენბერგი, 2020, გვ. 196-199

1, 2. ი. შტენბერგი, დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის „ლუტონინის ოჯახი“ (1951), ქაღალდი, აკვარელი, გუაში, ტუში, 30 X 34 სმ.
I. STENBERG. DECORATION SKETCH FOR THE PLAY “LUTONIN’S FAMILY” (1951). PAPER. WATERCOLOR. GOUACHE. INK. 30 X 34 CM.

3, 4. ი. შტენბერგი, ტიპაჟები
სპექტაკლისთვის
„ლუტონინის ოჯახი“ (1951),
ქაღალდი, ფანქარი, 30 X 17 სმ.
I. STENBERG, CHARACTER FOR THE
PLAY “LUTONIN’S FAMILY” (1951).
PAPER. PENCIL. 30 X 17 CM.

5. ი. შტენბერგი, დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის „პლატონ კრეჩეტი“ (1952), ქაღალდი, გუაში, ტუში, 28,2 X 35,5 სმ.
I. STENBERG, DECORATION SKETCH.FOR THE PLAY “PLATON KRECHET” (1952).
PAPER. GOUACHE. INK. 28,2 X 35,5 CM

6. ი. შტენბერგი, დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის „პლატონ კრეჩეტი“ (1952).
ქაღალდი, გუაში, ტუში, 28,2 X 36,5 სმ.
I. STENBERG, DECORATION SKETCH.FOR THE PLAY “PLATON KRECHET” (1952). PAPER. GOUACHE. INK. 28,2 X 36,5 CM.

ABOUT IRINA STENBERG'S SCENOGRAPHY

Irma Dolidze

Keywords: *Irina Stenberg, women artists, Museum of Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University, Georgian scenography in the 20th century*
Illustrations: *pp. 252-254*

"I was born in Tbilisi in 1905, into the family of Russian architectural engineer Valerian Stenberg. My mother was a preschool teacher. After graduating from gymnasium in Tbilisi, I took courses at the Tbilisi Academy of Fine Arts in 1920-1926, and later, in 1928-1930, in Moscow. My first personal exhibition was held at the Academy of the Fine Arts.[1] While in Moscow, I became ill and was forced to return to Tbilisi, subsequently working on book designs for various publishing houses and newspapers from 1920 to 1936. I took part in every exhibition organized by the Georgian Artists'' Union, and several of my works were bought by the Marx–Engels–Lenin Institute. Since 1936, I have been working with Tbilisi-based theaters...."

I. V. Stenberg, September 12, 1943

Some sources refer to 1903 as I. Stenberg's birthyear, though others suggest 1905. Her brief autobiography from 1943 reflects important, key events in her life and career, including her birthdate.

Oil painter, graphic artist, illustrator, and scenographer Irina Stenberg (1905-1985) debuted in the artistic scene in the late 1920s. Since 1936, her work was closely tied to theater. One of the most prolific artists, she has created scenic sets for hundreds of plays in numerous Georgian cities and theaters, as well as outside the republic.

The history of Georgian painting is closely linked to the adventures of the Georgian theater in the 20th century. Since as early as the 1920s-1930s, many artists previously working only in easel painting and graphics (D. Kakabadze, L. Gudiashvili, E. Akhvlediani, and others) delved into theater. The same is true of I. Stenberg, whose inaugural area of expertise was easel painting.

Opting for theater was no coincidence in I. Stenberg's case. After all, theater offered more freedom. In general, that period marked a growing interest in theater, with scores of artists joining theatrical life—and for good reason. "By that time, the long arm of the Soviet ideological dictate had reached artists, among others. In 1933, Literary Georgia newspaper criticized Stenberg for cosmopolitism and bourgeois inclinations, urging her to put her works in line with Socialist propaganda. Stenberg found a solution by creating the Georgian Women series. But it also stirred a storm of criticism. In 1936, however, she was praised for her painting Stalin and Ketskhoveli at an exhibition celebrating Bolshevism in Georgia and the Caucasus. The artist later admitted to Communist newspaper that working on Stalinist themes helped her mature as an artist; she also expressed her gratitude to Lavrentiy Beria. "Similar to artists whose styles would not fit within Socialist ideology, Irina Stenberg found refuge in theater".[2]

There were only a few women artists working in theater in the first half of the 20th century: Tamar Abakelia, Elene Akhvlediani, Alexandra Tevzadze, Irina Stenberg, with their works making a tremendous mark on the history of Georgia's visual arts and theater. The magnitude of their efforts is evidenced by the number of plays boasting their efforts: more than 70 in the case of Elene Akhvlediani and more than 300 in the case of Irina Stenberg, for example.

1 The exhibition was held at the State Academy of Artistic Sciences.
2 კალანდია, შტენბერგი, 2020, გვ. 4-5.

I. Stenberg's oeuvre found itself in the spotlight in the last few decades, with her monograph and picture book published, and her works included in numerous collections celebrating Georgian scenography. Said publications underline various aspects from her career, though scenic design is always brought to the fore, which only makes sense because her works are mostly theatrical. Among the plays decorated by her, the subject of our study—I. Stenberg's design for performances staged at Shota Rustaveli State Theatre Institute—deserve special mention. Unfortunately, the publications above feature only few of them, and even those are formulated incorrectly. The possible sketches for said performances, if any, are unknown and have never been published.

Irina Stenberg's documents preserved at the Art Palace of Georgia include a reference letter given to the artist by Griboyedov Theater's Director Dodo Antadze on December 29, 1953. This two-page document commends her productive creative work, and the realistic and expressive character of her works, and points out that Stenberg is frequently contracted by various theaters and the Tbilisi Institute of Theater. Indeed, Stenberg's career and the Institute of Theater first cross paths in the early 1950s, by which time she is already an accomplished scenographer with vast experience in designing dozens of plays for different theaters in Georgia and outside the republic. She specializes in both dramas and operettas, collaborating with directors opting for drastically differing styles. And her own style also changes. The artist's sketches from the 1930s focus on plasticity (often exaggerated) to portray a given character, with vast architectural spaces suffused with romantic overtones and striking colorfulness, full of dynamism, theatricality, and festiveness. Architecture is key here, meaning the space created for actors. The sketches from the 1940s, on the other hand, are brimming with expressiveness, bold strokes, and clearly delineated characters. Starting in the early 1950s, her decorative sketches utilize greater detail, a turn toward narrative. As for her costume sketches, they seem to stick to plasticity, freedom, and emotionality.

I. Stenberg's works from this period are amazingly diverse. "In 1950-1955, besides A. Griboyedov Russian Theater of Drama, she designs sets for plays in Kutaisi, Batumi, Gori, Leninakan, Yerevan, and Baku".[3] And it is around this time that she starts working at the Institute of Theater, to focus on stage design in the company of such artists as P. Lapiashvili, B. Loktin, G. Tseradze.

A. Tevzadze, I. Stenberg's predecessor at the Institute of Theater, worked here in 1940-1952 to reshape the newly restored institute. Most of A. Tevzadze's scenic designs date to the 1940s, and she and I. Stenberg, for a short period, were coworkers at the institute (1951-1952).

The Theater and Film University's Museum preserves the repertoires of plays staged here. Judging by these materials, I. Stenberg decorated 15 plays at the Institute of Theater in 1951-1968, including Lutonin's Family and Platon Krechet in 1951, Makar Dubrava in the 1953-1954 academic year (directed by A. Khorava). In 1955-1957, she worked on plays staged by directing department students. This period also saw the staging of the plays "In the Right Place," "A Lost Letter," "The Witch," "A Dumb Wife," "Joker," "Tomorrow," and "Sisyphus and Death." In 1961, Stenberg designed the set of "The Mistakes of a Night" and "The Good Hope," also of "The Wedding Day" and "The Gipsy Princess" (in 1968.

Of the scenic designs created by Irina Stenberg, the museum preserves those for Lutonin's Family by T. and I. Piriyev (premiered on April 12 and 14, 1951) and Platon Krechet by O. Korniychuk (premiered on May 28 and 30, 1952), both directed by A. Khorava. The sketches feature I. Stenberg's and A. Khorava's autographs. For the play Lutonin's Family, the artist, along with decoration sketches, created 14 drawings of the performance's characters and their costumes, also 3 sketches depicting the play's 4 acts (for scenes 1 and 4, also 2 and 3), narrative-like works focusing on detailed elements. Unlike them, the pencil drawings of characters emphasize the key layer of their generalized portrait, to which end the artist, in many cases, depicts their variations in one plane, with 2 and sometimes 3 versions of each character. The artist seems to be looking for the perfect character, as evidenced by her sketches, among others. In reality, Stenberg is creating portraits, character portraits. Each drawing is dated and features her autograph, also the name of the play, and the names of its characters. The sketch's inscriptions are only in the Russian language, which is typical of the artist (the only exception being the sketches to the deco-

3 გედევანიშვილი, შტენბერგი, 2007, გვ. 190.

ration of Lutonin's Family). A similar approach is found as early as 1942 and 1943, in the character sketches for the play House on the Hill and the costume drawings for the performance The Wedding with the General, respectively. In both cases, the artist uses only a pencil.

Three of the decoration drawings for the play Platon Krechet are preserved at the museum. These are acting spaces (at Krechet's, at Berest's, and in the hospital) using a reserved palette of colors. Their orderly, tranquil atmosphere reflect the play's general character. In all three sketches, two-dimensional planes are penetrated by slanted wall planes, with moderate emphasis on the space "unfolding" beyond them and up front onstage.

The sketches for both performances show one stylistic approach. We no longer see the expressiveness, oil painting atmosphere, and atmosphere so characteristic of Stenberg's scenic artistry. Now it is a scenic environment processed and expressed in everyday features with concrete storytelling details.

The sketches for the plays Lutonin's Family and Platon Krechet belong in the same group as the performances decorated in the early 1950s: The Government Inspector (1952) and Tomorrow Will Be Ours (1953) that display strikingly similar detailing, with the costume drawings keeping the usually emphasized plasticity of line and form.

Irina Stenberg created the scenic sets for 2 plays at Shota Rustaveli Theater. One of them was Platon Krechet (1951) directed by A. Khorava.[4] Thus, both Rustaveli Theater and the Institute of Theater were simultaneously working on one and the same play staged by the same director. The sketches for Rustaveli Theater's performance are unknown to us, but it is likely that the two plays shared a scenic design.

In the following academic year of 1953-1954, the artist created the scenic set for Makar Dubrava (premiered on May 31 and June 1 and 2, 1954, directed by A. Khorava), the second graduation work by the acting department's fourth-year students. The museum also showcases the play's handwritten poster with photos, a sort of tradition at the Institute of Theater, when a given class and its lead teacher would dedicate articles to academic year or graduation works by describing their memories and feelings, and sharing their assessments. This particular document celebrating the play Makar Dubrava consists of written contributions from I. Uchaneishvili (Makar), O. Meghvinetukhutsesi (Kondrat Topolia), G. Mdinardze (Orlov), Z. Zaldastanishvili (Olya), and others. In the same year 1952, Stenberg created the scenic set for Makar Dubrava at Griboyedov Theater as well.

In 1955-1957, I. Stenberg worked on the directing department's plays, such as In the Right Place by A. Ostrovsky (premiered on December 12 and 13, 1955, directed by K. Pataridze, the academic year work by the directing department's 5th-year students), A Lost Letter by Caragiale (premiered on April 27 and May 5, 1956, directed by El. Ioseliani, the academic year work by the directing department's 4th-year students; according to the play's log, "the academic department discussed it and would not give it a go"), also The Forest by A. Ostrovsky (premiered on June 1, 2, 3, and 4, 1957, directed by A. Gamsakhurdia, the academic year work by the acting department's students).

In 1957, I. Stenberg created the scenic design for several plays, academic year works by the directing department's 5th-year students: The Witch by A. Chekhov (premiered on January 5, 6, and 7, 1957, directed by n. Gachava), Joker by A. Tsagareli (premiered on January 27, 1957, directed by V. Rtskhiladze), A Dumb Wife by A. France (premiered on January 5, 6, an 7, 1957, directed by N. Mchedlidze, G. Zhordania, the academic year work by the directing department's 5th-year students), Tomorrow (premiered on March 2 and 3, 1957, directed by T. Ninua), and Sisyphus and Death (premiered on March 2 and 3, 1957, directed by Sh. Gatserelia). And it was in 1957 that I. Stenberg's 2nd personal exhibition was held, this time in Moscow, to prove quite a success.

"The 2nd half of the 1950s was especially important and productive in Stenberg's creative career and personal life. Irina returned to easel painting, working on experimental Cubist compositions, also creating portraits of famous figures and creatives around that time.

In the 1960s, the artist continues working in theater. Stenberg's works from this period display the main trends of the scenography of the 1960s. She overhauls her approach, means of expression, and signature style

4 The other play decorated by Stenberg at Rustaveli Theater was *Vassa Zheleznova*, directed by D. Aleksidze in 1955.

as a whole."[5]

In 1963, I. Stenberg created the scenic sets for The Mistakes of a Night by O. Goldsmith (premiered on June 22, 23, and 24, 1963, staged by A. Khorava, directed by K. Surmava) and The Good Hope by H. Heijermans (premiered on April 16 and 18, 1963, directed by D. Aleksidze), also The Wedding Day by V. Rozov (premiered on January 23, 1968, directed by A. Tavzarashvili) and The Gipsy Princess by E. Kalman (premiered on May 18, 1968, directed by E. Gedevanishvili) in 1968. Both plays were the academic year and graduation works by the Abkhaz and Avar groups of the acting department.

I. Stenberg's researcher N. Gedevanishvili, in her thesis titled Irina Stenberg's Creative Career, gives an incomplete list of plays decorated by the artist for the Institute of Theater, along with those done for a variety of theaters, except that Tbilisi Shota Rustaveli Theater Studio is mentioned in place of the Institute of Theater. The researcher lists 8 of the 15 plays designed by Stenberg: Platon Krechet (1952), Makar Dubrava (1954), In the Right Place (1955), A Lost Letter (1956), The Mistakes of a Night (1963), The Good Hope (1963), The Gipsy Princess (1968), and The Wedding Day (1968).

The photo book celebrating I. Stenberg names only 4 of the plays decorated by her at the Institute of Theater: Lutonin's Family (1951), Platon Krechet (1952), Makar Dubrava (1954), and The Wedding Day (1968).[6]

I. Stenberg's designs created for plays at the Institute of Theater after 1968 are unknown, actually marking the final period in the artist's career. After 1968, namely in 1971 and 1972, she worked on just a few plays to bring to a conclusion I. Stenberg's extremely exciting, complex, and diverse work in theater which spanned 36 years.

I. Stenberg's works are preserved in various Georgian museums and private collections both in our country and abroad. From now on, their list is joined by the Museum of Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University.

REFERENCES:

- ბელაშვილი თ., XX საუკუნის II ნახევრის ქართული სცენოგრაფიის მხატვრული მახასიათებლები რუსთაველის თეატრის დადგმების მიხედვით, რუსთაველის თეატრის სცენოგრაფია 1950-2000, თბილისი, 2019, გვ.7-36;
- გედევანიშვილი ნ., ირინა შტენბერგი, თბილისი. 2007;
- ელიზბარაშვილი ნ., საქართველოს რუსი მხატვრები XX საუკუნე, თბილისი, 2007;
- თუმანიშვილი ე., შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მუზეუმში დაცული კოლექციის ზოგადი დახასიათებისათვის (XX ს-ის 20-40-იანი წლების ესკიზები), "ARS GEORGICA", ელექტონული ჟურნალი, 2015 http://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/177--xx-20-40-.html
- კალანდია გ., ირინა შტენბერგი, თეატრისა და კინოს მხატვრები, ტ.VIII, თბილისი, 2020;
- ციციშვილი მ. თეატრის მხატვრობა 1920-1950, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია, თბილისი, 2008;
- ციციშვილი მ., ვაჩეიშვილი ნ., სოხაძე მ., თეატრის მხატვრობა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია, თბილისი, 2018.
- ციციშვილი მ., ვაჩეიშვილი ნ., სოხაძე მ., თეატრის მხატვრობა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია, თბილისი, 2006.

5 გედევანიშვილი, შტენბერგი, 2007, გვ. 190.
6 კალანდია, შტენბერგი, 2020, გვ. 196-199.